

№ 252 (3736)

1968 წ. დეკემბერი, ხუთშაბათი, შპსი 8 აპა.

საბ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

გამოცემის 25-ე წელი.

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

სპორტული 1968 წლის ლაურეატები

სპორტსმენის სპორტულმა ურთიერთობებმა რესპუბლიკის № 1 სპორტსმენად დაასახელეს ოლიმპიური ჩემპიონი, სამხრეთში ფენოქსენი მსოფლიო რეკორდის ავტორი, 23 წლის სოხუმის ღინა-მოელი ვიქტორ ხანეივი. ეს გამორჩევა ტრადიციული წინასახალწლო ანკეტის შედეგების შეჯამების შემდეგ, როგორც საქართველოს სპორტულ ურთიერთობათა ფედერაციამ ჩაატარა.

საინტერესოა, რომ ამ ანკეტის შემოღების შემდეგ ლაურეატობა პირველად დათმეს რესპუბლიკის დედაქალაქის წარმომადგენლებს. გაგახსენებთ, რომ წინა წლებში ამ თავისებურ შეჯამებაში გაიმარჯვეს ს. მტრეველი, ი. ფხაკაძე, ა. მტრეველი, მ. ხურცილავა.

წლეულს რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენთა ათეულში შევიდნენ, აგრეთვე, ოლიმპიური ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში რ. რურუა, მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზოერი — თავისუფალი სტილის მოჭიდავე შ. ლომიძე და ძალოსანი დ. შანიძე, სსრ კავშირის ჩემპიონი ჭიდაობაში ნანა ალექსანდრია, თბილისის „ღინამოს“ ფეხბურთელთა გუნდისა და სსრ კავშირის ნაკრების მცველი მ. ხურცი-

ლავა, თბილისის „ღინამოს“ კალათბურთელი, სსრ კავშირის ნაკრების გუნდის წევრი, მეხიკოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზოერი ზ. საკანდელიძე, თბილისის „ღინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი, სსრ კავშირის ნაკრების წევრი ს. მტრეველი, ქვეყნის ჩემპიონი ცურვაში, ოლიმპიური თამაშების მონაწილე ყველაზე ახალგაზრდა საბჭოთა სპორტსმენი ქალი თ. ლეკვეიშვილი და სსრ კავშირის მრავალჯერ ჩემპიონი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ველოსიპედისტი ი. ფხაკაძე.

სპორტულ ურთიერთობათა ფედერაცია ულოცავს ანკეტის ლაურეატებს და უსურვებს მათ შემდგომ წარმატებებს. შრომაში, პირად ცხოვრებასა და სპორტში.

როგორც სხვა დროს, დასახლებულია ურთიერთობები, რომლის აზრით უძლიერესთა ათეულს შემადგენლობაზე ყველაზე მეტად დაემთხვევა საერთო შეხედულებას. აქ გაიმარჯვეს რესპუბლიკური სპორტული გაზეთის „ლელოს“ თანამშრომლებმა ა. ბარნოვმა და გ. იაშვილმა. მათ ანკეტებში დასახლებულია სპორტული 1968 წლის ათეულ ლაურეატი. (საქდესი).

სსრ კავშირის პოეზიტა ნაკრები გუნდი. სხედან (მარცხნიდან): ი. მოსიენი, ვ. სტარ-შინოვი, ვ. დავიდოვი, ვ. კონო-ვალენკო და ვ. შადრინი; დგანან: ვ. ლუტჩენკო, ა. ფირ-სოვი, ვ. კუშჩინი, ვ. პოლუპა-ნოვი, ა. რაგულინი, ი. ზაიცევი, ა. იონოვი, ბ. მალოროვი, ი. რომიშევსკი, ე. ზომინი, ვ. ი-კულოვი, ე. მიშკოვი, ვ. ზინ-გერი და ა. იაკუშევი.

ფოტო დ. დონსკოისა და ნ. სომოვიცის (აპს-ი).



მ. მარლანის სახელი ცოცხლობს

გამოჩენილი ქართველი მკვარის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარლანის სახელი მუდამ ცოცხლობს ფეხბურთის მოყვარულთა სსრ-ში. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირებში მონაწილეობენ ნორჩი ფეხბურთელები და თუმცა მათს უმეტესობას არც ახსოვს ვეტერანი, თამაშები მიმდინარეობს მაღალ დონეზე, როგორც ჯერ არს.

სულ ახლახან დამთავრდა თბილისის გუნდების გათამაშება ვ. მარლანის ხსოვნის თასზე, სადაც მონაწილეობდა 9 გუნდი. ნახევარფინალებში „ღინამოს“ მოუგო „შრომით რეზერვებს“ (2:0), ხოლო ახალგაზრდულმა საფეხბურთო სკოლამ — ინტერნატის გუნდს (1:0).

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი და „ღინამოსი“. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის ფეხბურთელებმა, რომლებიც დაუფლნენ ვეტერანის საბატიო პრიზს.



▲ სიღნევი. დამთავრდა სამხრეთ უელსის (ავსტრალია) დი ჩემპიონატი ჩოგბურთში. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ავსტრალიელმა ჰეიტიმ, ხოლო ქალებში — მისმა თანამემამულემ კოურტმა.

▲ ლონდონი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა II საშუალო წონის მოკრევეთა შორის ფინეგანმა განაცხადა, რომ იგი ორჯერ დააჯილდოვებს ფულადი პრემიით: პირველად — ინგლისის მოყვარულთა კავშირში, მეორედ — ერთ-ერთმა მეწვეურმა. მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ჯილდოს სახით საერთო ჯამში 140 გირვანქა სტერლინგი მიიღო.

ლიდერის პირველი მარცხი

ბარტუ, 25 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორესპონდენტის თელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის VII ტური გუნდის დამთავრდა ადგილობრივი „კალევისა“ და მოსკოვის არმიელთა ორთაბრძოლით. მართალია, გუნდების სატურნირო მდგომარეობა ერთობ განსხვავებული იყო (ცხკა ერთპიროვნულ ლიდერად ითვლებოდა, ხოლო „კალევი“ — ერთ-ერთ აუტსაიდერად), არმიელთა უპირატესობას გადაჭრით ვერავინ აკუთვნებდა. ესტონელები დღესდღეობით წარუმატებლად რომ თამაშობენ, ეს, პირველ ყოვლისა, მაღალი ტანის მოთამაშეთა უყოლობით აიხსნება, თორემ უმაღლესი კლასის კალათბურთელთა სიმცირეს ეს გუნდი არასდროს არ განიცდიდა. თავად განსაჩეთ: ახლანდელი „კალევის“ შემადგენლობაში თამაშობს ტოკიოს ოლიმპიადის ორი მონაწილე (ტომსონი, კრაუნენ) და შარშანდელი ნაკრების კიდევ ორი წევრი (ლეპეტეტი და ტამისტე). ესტონეთის გუნდს თანაბრად შეუძლია თამაში ყველასთან, თუ წარმატებით გადაჭრა სიმაღლის პრობლემა.

ცხკა-სთან პირველ მატჩში ესტონელებმა მოახერხეს არმიელთა მაღალი კალათბურთელების ბლოკირება, უმთავრესად სისწრაფის ხარჯზე. ეს ფაქტორი გადამწყვეტი აღმოჩნდა, რადგან მთელი მატჩის მანძილზე ინიციატივა ხელთ ემყრათ მასპინძლებს და სტუმრებში მხოლოდ ანგარიშის გათანაბრებას მოუწოდებდა. ეს მათ რამდენჯერმე მოახერხეს. მეორე ნახევრის დასაწყისში (ტაიმი „კალევისა“ მოიგო — 38:22) ცხკა-მ ვოლნოვისა და ანდრეევის წყალობით ჯერ შეამცირა ანგარიში სხვაობა, შემდეგ კი გაათანაბრა იგი — 50:50.

ფრგ სადემონსტრაციო ტაბლოზე მეორედ აღინიშნა, როცა თამაშისთვის განკუთვნილი 40 წუთის უკვე ამოწურული იყო — 68:68. ანგარიში ბოლო წამს: გაათანაბრა არმიელმა კაპრანოვმა.

დაინიშნა დამატებითი დრო. ესტონელებმა ძლიერად წარმართეს იერიშები და ლიდერს ამ სეზონში პირველი მარცხი აწვიეს — 87:79.

მესამე ტურში

გუნდში გაიმართა სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ჩემპიონატის III ტური, რომელშიც ასეთი შედეგები მოგვა: მოსკოვის ჯგუფში — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ნეი (თბილისი) 61:41 (28:16), „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „მურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 65:62 (26:30), „ღინამო“ (მოსკოვი) — „ღინამო“ (კიევი) 42:30 (18:20); ნოვოსიბირსკის ჯგუფში — „კიბირსტისი“ (ვილნიუსი) — უსკ (ტარტუ) 56:39 (34:16), „ღინამო“ (ნოვოსიბირსკი) — ასკ (ლენინგრადი) 62:44 (30:22), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — ტტტ (რიგა) 57:76 (31:41).

ახალი კავშირი


● მოსკოვი, 24 დეკემბერი. პასტინგის ტრადიციულ საახალწლო ტურნირში, რომელიც 29 დეკემბერს დაიწყება, საბჭოთა ქვეყნიდან ძირითად ჯგუფში ითამაშებენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სისლოვი და მ. ტაიანოვი, ოსტატთა ტურნირში გამოვა ვ. ტუქაქოვი.

● ბრძინბანი, 24 დეკემბერი. აქ დაიწყო ჰაბუკ მოჭადრაკეთა ტურნირი, რომელშიც 17 ქვეყნის 20 სპორტსმენი მონაწილეობს. საბჭოთა სპორტის ღირსებას ამ შეჯიბრებაში იცავს ერვერელი ვაგნინი.

● მოსკოვი, 24 დეკემბერი. ვაჟთა „მოსკოვსკია სპორტივნი ა ნე-დელიას“ ყოველწლიურ კონკურსში — „დედაქალაქის 10 საუკეთესო სპორტსმენი“ — გაიმარჯვა ოლიმპიური თამაშების ორჯერ ჩემპიონმა, მოკრევე ბ. ლაგუტინმა. მის გარდა ათეულში მოხვდნენ პოეზისტი ა. ფირსოვი, ტანმოვარცხენი მ. ვორონინი, ფეხბურთელი ე. სტრელცოვი, მოცურავე ვ. პაროშენიკოვა და სხვ.

● ბრძინ, 24 დეკემბერი. მოსკოვის გუნდმა მეტეპესმეტად გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის უძლიერეს მოციგურავეთა ტრადიციულ, XXIII მატჩში: მან თავიდან ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა. თუ ვაჟთა შეჯიბრებაში მოსკოველებმა ორჯერ დათმეს საბატიო ვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური, ქალთა ასპარეზობაში იონი უძლიერესნი იყვნენ ოთხიდან სამ სასეზონში. მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტმა, 23 წლის გ. ნეფილოვამაც თავიდან გააკეთა განაცხადი მრავალჯერ გაიმარჯვებულმა: 500 მეტრზე რბოლაში (47,0) ჩამოიტოვა ყველა მეტოქე, რომელთა შორის იყვნენ მსოფლიო რეკორდსმენი ტ. სიდოროვა და გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონი ლ. ტიტოვა. ნეფილოვა მართლაც, უძლეველი აღმოჩნდა მრავალჯერ — 198,783 ქულა. გოგონათა შორის საუკეთესო იყო 18 წლის გორკელა ტ. ავერინა — 204,566 ქულა.

● საბატიო ქვეყნის სხედასხვა ქალაქში გაიმართა ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორავი კალენდარული მატჩები, რომლებიც ასე დამთავრდა: „კალევი“ (ტარტუ) — „ბურვეესტნიკი“ (მოსკოვი) 3:0, „ბურვეესტნიკი“ (ოდესა) — „ბურვეესტნიკი“ (ალმა-ათა) 0:3, „ღინამო“ (მოსკოვი) — „ზარია“ (ლუგანსკი) 2:3, „ლოკომოტივი“ (კიევი) — აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქა) 3:1 3:1, „რადიოტექნიკი“ (რიგა) — ცხკა 2:3, 3:2.



სურათზე: რბოლის მომენტი.

ფოტო ი. შალამოვისა.



იქნებ ასე სჯობს?

კრივის განვითარების მსრფხვ ჩვენს რესპუბლიკაში საუბარო მდგომარეობაა. 50-ანი წლების შემდეგ საქართველოს მოზრდილთა შორის არა აქვს არც ერთი საკავშირო ჩემპიონი. რაშია საქმე? ნუთუ 20 წლის მანძილზე არ მოიძებნა არც ერთი ნიჭიერი მოკრივე — სსრ კავშირის ჩემპიონობის ღირსი?

მე ლენინგრის რაიონის სოფელი იკოტის საშუალო სკოლა 1955 წელს დააფუძნა. კრივი არ მინახა არც კინოში და არც სინამდვილეში. სახლის სხვენიზე გამოვდივარ ნახევრით სავსე ტოპირა და ხელებზე ნაკრებიდასველი წვერთან შევეუდმი. არავითარი წიგნები, არავითარი ცოდნა, მაგრამ რა შექნა? კრივი მიყვარდა და ვფარჯიშობდი ჩემებურად, როგორც შემოდლო. 13 წელი გავიდა მას შემდეგ, ლენინგრის რაიონში კრივზე წარმოდგენა ახალგაზრდებს მხოლოდ ტელევიზიამ შეუქმნა.

გეოგრაფიული შესუდულობა მე კრივის ჩამორჩენის ძირითად მიზეზად მიმაჩნია და ეს მაგალითიც იმიტომ მოვიყვანე.

შეიძლება უთქვინებო იფიქროს, უწინაც რომ ასეთი მდგომარეობა იყო, ჩემპიონები საიდანღა გვყავდათ? მართალია, მაგრამ ახლა კრივის ტექნიკა და ტაქტიკა არსებითად შეიცვალა. ნუ მიწვიუნებ ფეხლი მოკრივეები, მაგრამ დღეს ისე განვითარდა სპორტის ყველა სახეობა და, მათ შორის, კრივიც, რომ გაცილებით მეტი შრომაა საჭირო. ჩვენში კრივი ისეთი პოპულარული რომ იყოს, როგორც ქართული ჭიდაობა, მაშინ ასეთი ცუდი მდგომარეობა არ გვექნებოდა.

ჩამორჩენის კიდევ ერთ მიზეზად შევიზებებოდა უსწორო ორგანიზაცია მი-

მაჩნია. ავიღოთ, თუნდაც, 1968 წელი. რა შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ თბილისელი მოკრივეები? თბილისის პირველობა (ორი-სამი შეხვედრა), საქართველოს ჩემპიონატი (ხუთი დღი, აქაც სამი შეხვედრა) და სპორტ-საზოგადოებათა საკავშირო ჩემპიონატი (სადაც ჩვენს მოკრივეებს იშვიათად უხდებოთ რინგზე სამჯერ გამოსვლა).

თუ ამ შეხვედრათა რაოდენობას შევჯამებთ, უკეთეს შემთხვევაში ცხრა ბრძოლას მივიღებთ. მთელი წლის მანძილზე ცხრა ბრძოლა და ორი-სამი საერთაშორისო შეხვედრა სპორტსმენის კლასის ამდლებებისთვის ერთობ მცირეა. ამასთან, არ დავაფიქვდეთ, რომ ლაპარაკი გვაქვს საქართველოს ჩემპიონებსა და ჩემპიონატის პრიზიტორებზე. რომელ შეჯიბრებებში აიმაღლონ კლასი დანარჩენმა მოკრივეებმა? ამ კითხვას პასუხის გაცემა სჭირდება.

შეჯიბრების ორგანიზაციაზე მე საკუთარი შეხედულება მაქვს და ალბათ ამ აზრს ბევრი გაიზიარებს: კარგი იქნება, თუ თბილისი ჩემპიონატი სამოთხე უნდა გამოიყვანოს, ქუთაისი — ორს, ბათუმი, სოხუმი, რუსთავი, ფოთი და ცხინვალი — თითო კოლეჯტიკის ჩემპიონატი, შეჯიბრება ორ წრედ უნდა ჩატარდეს — საკუთარ და მეტოქის „მოედნებზე“. გამარჯვებულს უნდა მიენიჭოს საქართველოს ჩემპიონის წოდება. ამას გარდა, ვფიქრობ, უნდა გაიმართოს რესპუბლიკის ქალაქებისა და საქართველოს პირადი პირველობები.

ი. გვრიტიშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგემო კომიტეტის უფროსი ინჟინერ-გეონომისტი.

ერთობლივი მეცადინეობით

რესპუბლიკაში კრივის ჩამორჩენის მთავარ მიზეზებს, ჩვენი ღრმა ჩწმენით, წარმოადგენს სპორტის ამ სახეობის სუსტი პრაფანდა, კეთილმოწყობილი ბაზების სიმცირე და გამოცდილ მწვრთნელთა უქმარობა. ზოგჯერ იმიზეზებენ, შესაფერისი ახალგაზრდები არა გვყავსო, რაც, რა თქმა უნდა, არაა სწორი.

გადახედეთ ჩვენი რესპუბლიკის მთიან რაიონებს — ლენტეხს, მესტიას, ცაგერს, ამბროლაურს, ონს, უაზებეს, თიანეთს, დუშეთს. აქ საკმაოდ ბევრი ფიზიკურად ძლიერი ჭაბუკია, რომლებიც სათანადო ხელშეწყობის შემდეგ უეჭველად კარგი მოკრივეები გახდებიან. საჭიროა მათ ვაცნო და შეუყვარო კრივი. ერთი სიტყვით, რაიონებში ხისტემატურად უნდა ჩატარდეს შეჯიბრებები, საჩვენებელი გამოსვლები ოსტატთა მონაწილეობით, მოეწყოს კრივისადმი მიძღვნილი დოკუმენტური კინოფილმების ჩვენება. ყველაფერი ეს საგრძნობლად გაააქტიურებს სექციურ მუშაობას და სპორტის ამ ფუნქციურ სახეობაში შედეგიც არ დააყოვნებს.

საქართველოში ბოლო ხანებში ფეხი მოიკიდა კრივისადმი უსწორო დამოკიდებულებაში. ბევრი მშობელი ფიქრობს, რომ სპორტის ეს სახეობა არყევს წანმრთელობას. ეს მცდარი აზრია. აქ საჭიროა კვალიფიციური სიტყვა თქვან მედიცინის დარგის მუშაკებმა, ტყავის ხელთათმინის გამოჩენილმა ოსტატებმა და ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ქართული სპორტი საერთოდ და, კერძოდ, კრივი.

ბ. ღარბაიძე.

საქართველო

სპორტი

თელავი

გამართა რაიონული ჩემპიონატი ფრენბურთში. ვაქებში პირველობა მოიპოვა ი. გოგებავის სხელობის პედინსტიტუტის გუნდმა. ქალებში — სამედიცინო სასწავლებლის კოლექტივმა.

რაიონის მოშაშეთა თანის გათამაშებაში გამარჯვა „თელავის“ ნაკრებმა.

პ. ელიოვიშვილი,
ზ. ჯაბაძე.

თბილისის ცირკში დაიწყო მოსკოვის სახელმწიფო ლენინის ორდენის ხანი ცირკის კომპოზის კარანდაშის გასტროლები. წარმოდგენისას მყუდრებელი ნახევს ბევრ სპორტულ ხანახაობასაც — საპერო აკრობატებისა და სხვათა გამოსვლას.


სურათზე: მავთულზე მოსიარულე ნ. მანუკიანი.

ფოტო ვ. გოგაძისა.



ოლიმპიური რეპორტი

სახეობა	შედეგი	რეკორდსმენი	აღდგო	დამყარების წელი
მ ქ ლ ე მ ს ნ ო ბ ა				
ქ ა ლ ე ბ ი				
100 მ	11,0	პ. ტანისი (აშშ)	მეზიკო	1968
200 მ	22,5	ი. კირუხანაშვიანი-შაპინსკა (ბოლონეთი)	მეზიკო	1968
400 მ	52,0	პ. პატაშვიანი (ავსტრალია)	ტოკიო	1964
800 მ	2,00,9	მ. მანინგი (აშშ)	მეზიკო	1968
80 მ თარაბრენი	16,3	მ. ბაშირანი (ავსტრალია)	მეზიკო	1968
ესტაფეტა 4x100 მ	42,8	აშშ (პ. ფურელი, მ. ბეილსი, მ. ნეტერი, ვ. ტაიბი)	მეზიკო	1968
ხიგრძეზე ხტომა	682	პ. ვისკოპოლიანუ (რუმინეთი)	მეზიკო	1968
სიმაღლეზე ხტომა	190	ი. ბალაში (რუმინეთი)	ტოკიო	1964
ბირთვი	19,61	მ. პალეოლდ-პუმელი (გერ)	მეზიკო	1968
ბადრო	58,28	ლ. მანოლიუ (რუმინეთი)	მეზიკო	1968
შუბი	64,40	მ. გორბაკოვა (სსრ კავშირი)	ტოკიო	1964
ხუტილი	5246	ი. პრინი (სსრ კავშირი)	ტოკიო	1964
		(10,7; 17,16; 163; 624; 24,7)		
ვ ა ლ ე ბ ი				
100 მ	9,9	ზ. ბინსი (აშშ)	მეზიკო	1968
200 მ	19,8	ო. სმითი (აშშ)	მეზიკო	1968
400 მ	43,8	ლ. ევანსი (აშშ)	მეზიკო	1968
800 მ	1,44,3	რ. ლაშაერი (ავსტრალია)	მეზიკო	1968
1500 მ	3,84,9	პ. ბინი (კენია)	მეზიკო	1968
5000 მ	18,39,6	მ. ბუნი (სსრ კავშირი)	მეზიკო	1968
10000 მ	38,24,4	მ. მილი (აშშ)	მეზიკო	1968
110 მ თარაბრენი	13,3	პ. მანინგი (ავსტრალია)	მეზიკო	1968
400 მ თარაბრენი	48,1	ლ. მანინგი (ავსტრალია)	მეზიკო	1968
3000 მ წინალობებით	8,30,8	აშშ (პ. გრიბი, მ. პენდერი, რ. სმითი, ჯ. ბაინსი)	მეზიკო	1968
ესტაფეტა 4x100 მ	38,2	აშშ (ვ. მეთუსი, რ. ფრიმენი II, ლ. ჭეიმბი, ლ. ევანსი)	მეზიკო	1968
ხორტული ხიარული	1:29,84,0	პ. მებინი (ინგლისი)	ტოკიო	1964
50 კმ	4:11,12,4	ბ. პამირი (იტალია)	ტოკიო	1964
ხიგრძეზე ხტომა	690	რ. გიგონი (აშშ)	მეზიკო	1968
სიმაღლეზე ხტომა	224	რ. ფოსტერი (აშშ)	მეზიკო	1968
საშხტომი	17,39	მ. სანდერი (სსრ კავშირი)	მეზიკო	1968
ტოკიო ხტომა	640	რ. სიბრაინი (აშშ)	მეზიკო	1968
ბირთვი	20,54	რ. მათსონი (აშშ)	მეზიკო	1968
ბადრო	64,78	რ. ორბერი (აშშ)	მეზიკო	1968
შუბი	90,10	ი. ლუსინი (სსრ კავშირი)	მეზიკო	1968
ურო	73,36	ლ. შივოტაი (უნგრეთი)	მეზიკო	1968
ატილი	8,193	ბ. ტუმეი (აშშ)	მეზიკო	1968
		(10,4; 7,87; 13,75; 195; 45,8; 14,9; 48,68; 420; 62,80; 4,57,1)		
ე ს ტ რ ე ბ ა				
ვ ა ლ ე ბ ი				
თავისუფალი სტილი				
100 მ	52,2	მ. უანდანი (ავსტრალია)	მეზიკო	1968
200 მ	1,55,2	მ. უანდანი (ავსტრალია)	მეზიკო	1968
400 მ	4,09,0	მ. ბარტონი (აშშ)	მეზიკო	1968
1500 მ	16,38,9	მ. ბარტონი (აშშ)	მეზიკო	1968
ბრასი				
100 მ	1,07,7	ლ. მუხეინი (აშშ)	მეზიკო	1968
200 მ	2,27,8	ი. ო'ბრაინი (ავსტრალია)	ტოკიო	1964
ბატარაფლაი				
100 მ	55,9	ლ. რასელი (აშშ)	მეზიკო	1968
200 მ	2,06,6	პ. ბერი (ავსტრალია)	ტოკიო	1964
გულაღმა				
100 მ	58,7	რ. მატენი (გერ)	მეზიკო	1968
200 მ	2,09,6	რ. მატენი (გერ)	მეზიკო	1968
კომპლექსური				
200 მ	2,12,0	რ. ბიკოსი (აშშ)	მეზიკო	1968
400 მ	4,45,4	რ. როტი (აშშ)	ტოკიო	1964
ანტაფეტები				
თავისუფალი სტილით:				
4x100 მ	8,31,7	აშშ (ზ. ზორნი, ს. რერიმი, მ. ხიტცი, კ. უოლში)	მეზიკო	1968
4x200 მ	7,52,1	აშშ (დ. შოლანდერი, მ. ოსტინი, ს. ილმენი, ს. კლარკი)	ტოკიო	1964
კომბინირებული ესტაფეტა 4x100 მ	3,54,9	აშშ (ჩ. ბიკოსი, ლ. მიკენი, ლ. რასელი, კ. უოლში)	მეზიკო	1968
ქ ა ლ ე ბ ი				
თავისუფალი სტილი				
100 მ	59,5	ლ. ვანდანი (ავსტრალია)	ტოკიო	1964
200 მ	2,10,5	მ. ბაინი (აშშ)	მეზიკო	1968
400 მ	4,31,8	ლ. მანინგი (აშშ)	მეზიკო	1968
800 მ	9,24,0	ლ. ბაინი (აშშ)	მეზიკო	1968
ბრასი				
100 მ	1,15,8	ზ. ბიელოვა (იუგოსლავია)	მეზიკო	1968
200 მ	2,44,4	მ. უიჩინი (აშშ)	მეზიკო	1968
ბატარაფლაი				
100 მ	1,04,7	მ. მატენი (აშშ)	ტოკიო	1964
200 მ	2,24,7	ბ. კოპი (ბოლონია)	მეზიკო	1968
გულაღმა				
100 მ	1,06,2	პ. კოლი (აშშ)	მეზიკო	1968
200 მ	2,24,8	პ. უოტსონი (აშშ)	მეზიკო	1968
კომპლექსური				
200 მ	2,24,7	პ. კოლი (აშშ)	მეზიკო	1968
400 მ	5,08,5	პ. კოლი (აშშ)	მეზიკო	1968
თავისუფალი სტილით:				
ესტაფეტა 4x100 მ	4,02,5	აშშ (ჯ. ბარკენი, ლ. გუსტავსონი, ს. პედერსენი, ლ. პენი)	მეზიკო	1968
4x100 მ კომბინირებული ესტაფეტა	4,28,3	აშშ (კ. ბოლი, ე. დანიელი, კ. ბოლი, ს. პედერსენი)	მეზიკო	1968



მეხიკოს ოლიმპიადა
სპორტული მიმომხილველის თვალში
სტენი ლევენსონი

მ ი დ ე ა თ რ ი ვ ა
გერმანიის დამოუკიდებელი რესპუბლიკისგან

13 გუნდის მონაწილეობით

კონსტიტუციის დღეს მიძღვნილი ქალაქის პირველობა სპორტულ ორიენტირებაში, რომელიც თბილისის ტურისტულმა კლუბმა ჩაატარა თეთრი წყაროს მიდამოებში.
12 საათია იწყება მონაწილეთა პარადი. ტრადიციის მიხედვით, შეჯიბრების ალაში აღმართეს შარშანდელი ჩემპიონის — სამხატვრო აკადემიის გუნდის კაპიტანმა გ. ლაღვამ და II საპრიზო ადგილზე გასული ტოპოგრაფიული ტექნიკის გუნდის კაპიტანმა ი. ნოვგოროდოვამ. სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ასეთი სახის შეჯიბრება არ ტარდება თვალსაზრისით ადგილზე (უმთავრესად ტყიან ადგილებს არჩევენ). მიუხედავად ამისა, ასპარეზობა სრულიად არა ინტერესსპორტულია, პირიქით.
შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 10 კოლექტივის 13 გუნდმა. 3 გუნდი გამოიყვანა ტოპოგრაფიულმა ტექნიკურმა. დღევანდელ ეს რიცხვი სარეკორდოა. მაგრამ ისეთი ქალაქისთვის, როგორც თბილისი, მონაწილე კოლექტივებისა და გუნდების რაოდენობა მაინც არა დამაკმაყოფილებელია.
I ადგილისთვის ძირითადად შარშანდელი ჩემპიონის — სამხატვრო აკადემიის, მოამსვლელთა სპორტკოლოს, ამირკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების წინააღმდეგობა.

ში გამარჯვებული ტოპოგრაფიული ტექნიკის გუნდები იმარჯობენ. საბოლოოდ საპრიზო ადგილებიც ასეთივე თანმიმდევრებით განაწილდა. დიფერენცირებულ ჩათვლაში საპრიზო კოლექტივების შორის I ადგილზე დი-მეტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის გუნდი გავიდა.
დამყარდა როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ახალი საქალაქო რეკორდები. ქალებში თავისივე ძველი რეკორდი (3 საათი) 2 წუთით გააუმჯობესა სამხატვრო აკადემიის გუნდის წევრმა შ. ზორცვამ. ვაჟებში თავისივე ძველი რეკორდს (2 საათი და 13 წუთი) 3 წუთით აჯობა ამავე გუნდის წევრმა ა. შურაია.
აღსანიშნავია, რომ როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შეჯიბრებაში I-III საპრიზო ადგილებზე აკადემიის წარმომადგენლები გავიდნენ. ამან განაპირობა მათი საერთო გუნდური გამარჯვება. ეს უთუოდ დიდი წარმატებაა. უნდა აღინიშნოს, რომ მსაჯობა ბრიტანულ (მთავარი მსაჯი გ. მიშვილი) შეჯიბრება შეასრულა ჩაატარა.
კარგი იქნება, თუ სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების კალენდარულ გეგმებში (როგორც საქალაქო, ისე რაიონული შეჯიბრებები) ამ მეტად საჭირო სახეობასაც შეიტანენ.

3. ტარიალავაძე.

ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაში ვიზიტის შესახებ უნდა იმსჯელონ.
გერ-ში სპორტი დღეს აღმავლობის გზაზეა და ამას მსოფლიოს ბევრი ქვეყანა შურის თვალთ რუკურებს. ესაა აღმავლობა, რომელიც გამოიხატება არა მხოლოდ ოლიმპიურ მედლებში, არამედ სპორტის მასობრივობაშიც.
სპორტული კულტურისადმი სწრაფობა და წარმატების კვინტენსონია გერ-შიც იგივეა, რაც ბრიტანეთში: „წინაშეა დასრულებული განმარტების სული სუფევს“.
გერ-ში ახლანდელი გამოვიდა მიმწოდველი პატარა ბუკლეტი, რომელშიც ხაზგასმითაა მითითებული: „სპორტის გაცდილებით დიდხმონდებილევინა მისია აქისრია, ვიდრე რეკორდებისადმი სწრაფვა. მისი დანიშნულება უფრო საზოგადოებრივია. ეს არის მოთხოვნა, რომელშიც საზოგადოების წამრთვლობის საერთო მდგომარეობაზე ფოკუსური კულტურის დადებითი გავლენით გამოიხატება“.
აღმოსავლეთ გერმანიის სპორტსმენთა მიღწევების საერთაშორისო დონეზე მეტყველებს მათი მექსიკური ნადავლი — ცხრა ოქროს, ცხრა ვერცხლი და ბრინჯაოს მედალი მედალი, აგრეთვე გუნდური მესამე ადგილი (ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის შემდეგ. — ბ. ზ.) მაგრამ გერმანიის ერთ-ერთ მიწინავე ქვეყნად წარმოადგინა მოსახლეობის ფართო ფენების სპორტულ გაცემების თვალსაზრისითაც. დემოკრატიული გერმანიის წარმომადგენლებმა დიდი წარმატებები მიაღწიეს ბერს სახეობაში — მძლეობაში, ნიჩბობაში, ცურვაში, ტანვარჯიშში, ციგურაობაში, მოტოციკლიზმში და ა. შ. ეს წარმატებები მათთვის უფრო რადიკალურია, ვიდრე ადგილობრივი სპორტის პოპულარიზაციას, ხოლო ორგანიზებულობა და წვრთნის შესანიშნავი სისტემა ქმნის თვისობას.

ბრიტანს — ოქროს დივიდენდებს. თხუთმეტი წლის განმავლობაში (1952-1967) დახურული დარბაზების რაოდენობა გერ-ში 1112-დან 8452-მდე გაიზარდა, „შეიქმნებოდა თვის ვარჯის“ საცურაო ნაგებობები კი 269-დან 667-მდე.
რა მდგომარეობაა ამ მხრივ ბრიტანეთში? დღევანდელი ჩვენ მოგვამოვდა მხოლოდ თორმეტი დახურული სპორტული კომპლექსი, რომელზეც ღირს ლაპარაკი, აგებული უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში. ბრიტანეთს გერ-ზე მეტი აქვს საცურაო აუზი (744), მაგრამ 1952 წლის შემდეგ მხოლოდ 113 ასეთი ბაზა აშენდა. აუზების უმრავლესობა პირველ მსოფლიო ომამდეა აგებული. საერთო ჯამში, მთვან ახლათ ოცი ძველი და თანამედროვე აუზი თუ აკმაყოფილებს ფართო მასშტაბის შეიქმნება მოთხოვნებს.
ამ შედარებაში სირცხვილით უნდა გავაცითლოს ბრიტანელები. ნუ იტიჩრებთ, რომ გერ-ში მხოლოდ სპორტული ბაზების კეთილმოწყობით კმაყოფილდებიან. დარწმუნებით შეიძლება თქვას, რომ სპორტული ბაზების უფრო კეთილმოწყობით კმაყოფილდებიან გერმანიის სპორტის განვითარების მიზანმიმართულად და შეხედულება, თითქოს ფიზიკური კულტურა არ იყოს სეროუსული სოციალური ყურადღების ობიექტი, ხელს უშლის სპორტის მასობრივ განვითარებას.
შვიდი წლის წინათ ბრიტანეთის კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა გეგმა მოყვარულ სპორტსმენთა, რომელიც შეიცავს შემდეგ მოწოდებებს: ყველა საქალაქო და სასოფლო რაიონი გახდეს მრავალსახეობიანი სპორტის ცენტრი; საცურაო აუზების, ველოტრეკების, ჩოგბურთის კორტების, ფეხბურთისა და კრიკეტის მოედნების გარეშე არ დარჩეს არც ერთი ქალაქი ოციათასიანი მოსახლეობით,

ყოველი თანამედროვე მრავალბინიანი შენობის კომპლექსში გათვალისწინებული იქნას საცურაო აუზი, ტანვარჯიში იარაღები და სათამაშო მოედნები; სპორტული ცენტრები უზრუნველყოფილი იქნას მალაქლოვანიაში ინსტრუქტორებით; მოეხსნათ გადასახლები სპორტული საქონლით მოვაჭრეებს და ა. შ.
კომუნისტური პარტიის მიერ დასახული მიზნები ისევე დიდი ღირებულებისანი არიან დღესაც, როგორც მათი პირველი გამოცდების დროს — 1961 წელს. მაგრამ ქვეყანას, რომელსაც შეუძლია გადაუხალოს ათეული მილიონი ფუნტი ამერიკულმა „ფ-111“ ტიპის თვითმფრინავებში, სამწუხაროდ, აღარ მალაქს მოახმაროს რამდენიმე მილიონი ხალხის წამრთვლობას. ეს არის სინამდვილე, რომლის პირისპირაც მსტერ ჰოუველი დგას. ლეიბორისტულმა მთავრობამ სპორტისთვის გააკეთა ყველაზე მეტი, ვიდრე რომელიმე ადრინდელმა აღმინისტრაციულმა აპარატმა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ დღეს ვტყვიან, შე ბოქსილი ვარნ შაბლონებითა და მოძველებული დოკუმენტით. ჩვენი სპორტის მსვერვებმა წერტილი უნდა დაუსვან თვითკმაყოფილების გრძობას, გაუყვიტონ კავშირი დროშოქმულ ტრადიციებთან, მაღალ საფეხურზე აიყვანონ აქამდე ჩამორჩენილი კოლექტიურობის გრძობა, მასობრივად სპორტში, არ დაწოგონ ფულადი და სხვა საშუალებანი მომავალ თაობათა მიღწევებისთვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ვსახატოლო ოლიმპიურ წარმატებებს 1972, 1976 თუ შემდეგ წლებში.
გაუთი „მორინიბ სტარი“ ინგლისურიდან თარგმნა ბ. ზამუბარამ.

მთის პირველი გემი

საქართველოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლექციისა და „სრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ყაზბეგის რაიონში ამას წინათ ჩატარდა თბილისში I ალბინიად, რომელიც კომპოზიორის 50 წლისთავს მიძღვნიდა.
დიდი ინიციატივა გამოიჩინეს № 11 სამხატვრო პროფტექნიკური (ფიზიკური) ხელმძღვანელი ქ. გიგინიაშვილი და № 32 პროფტექნიკური სასწავლებლების ფიზიკულტურის კოლექტივებმა.
ღონისძიების საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა სახელმწიფო კომიტეტის ინსპექტორს ო. ბერიძეს, ხოლო სასწავლო ხელმძღვანელი იყო ი. ხაბულოანი. ალბინიადში მონაწილეობდა 25 კაცი, მათ შორის, ორი გოგონა. მონაწილე 18 მონაწილემ მიიღწია. მათ დაიპყრეს მწვერვალი გორი (4200 მ) და პირველად მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ალბინისტის სამკერდე ნიშნები.
მიუხედავად იმისა, რომ მწვერვალებზე ასვლა პირველად მოგვიხდა,

მთაწილიანი კარგად შეგეგუნ მთის პავსა და მწვერვალის მაკერ ბუნებრივ პირობებს. გორზე აფრიად და „სრომითი რეზერვების“ დროში, რომელიც იქ სამასსოვროდ დაგტოვეთ.
უნდა აღინიშნოს, რომ მთაწილელაბის ინსტრუქტორებმა ი. ხაბულოანი და დ. მამუკარიანი დიდი უშაობა გასწვიეს ალბინიადის ორგანიზებულად ჩატარებისთვის.
მწვერვალზე ასვლის დროს კარგი ფიზიკური და მორალური თვისებები გამოავლინეს ნ. კობაიძემ, მ. ჯვარიძემ, გ. ავალიანი, ქ. გვარლიანი, ფ. შიტუნია, ტ. ნიკოლოვმა და სხვ.
დიდი დახმარება გაეწვია რესპუბლიკის ალბურმა კლუბმა.
მომავალში განზრახული გვაქვს ავიდეთ რომელიმე უსახელო მწვერვალზე, რომელსაც ჩვენი სპორტსაზოგადოების — „სრომითი რეზერვების“ სახელს დავარქმევთ.
ბ. ზამუბარამი,
თბილისის № 82 პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზიკური ხელმძღვანელი, ალბინიადის მონაწილე.

660 პარტი

რბმა, 24 დეკემბერი: 660 პარტიისგან შემდგარი საქადრაკო მართონ — სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატის დელს დამთავრდა ჯილდოების საწვიმოდ გადაცემის ცერემონიალით.
ოქროს მედლები და მთავარი პრიზი დაისაკუთრა სტუდენტურმა გუნდმა დილისტატ პოლუგავესის მეოთხრობით. „ბურევესტიკს“ არც ერთი შესვედრა არ წუგია. გადამწყვეტ მატჩში მან დაამარცხა ყოფილი ჩემპიონები არმილეები, რომლებმაც ვერცხლის მედლები მოიხვეციან. ბრინჯაოს მედლები ერთ მსარტაკელეს.
აი, საბოლოო შედეგები: „ბურევესტიკი“ — 78 ქულა. შეიარაღებული ძალები — 72,5, „სპარტაკი“ — 67, „ტრუდი“ — 61, „ავანგარდი“ — 60, „ლოკომოტივი“ — 53, „დაუბაგა“ — 51,5, „კალენი“ — 48,5, „დინამო“ და „მოდოვა“ — 47-47, „ვალტირისი“ — 42, „იიუდი“ — 33,5.
პირველ დაფაზე საუკეთესო შედეგი (6,5 ქულა 10-დან) აქვს „ავანგარ-

დის“ ლიდერს შტეინს; მეორე და მესამე დაფებზე — სპარტაკელებს სუეტინას (7,5 10-დან) და ბოლესლავსკის (8,5 11-დან). უფრო შედეგიანი იყო მეთხუთ დაფაზე მთაბამე ლეინი (შეიარაღებული ძალები): მას 7,5 ქულა აქვს 9-დან. შესასურ შედეგი აქვს 17 წლის კარპოვის, რომელმაც 9 პარტია მოიგო და 2 ყაიმით დაამთავრა.
გოგონებს შორის საუკეთესო შედეგისთვის პრიზი — ლატვიური ერთეული თოქინა დაიმსახურა მოსკოველმა ლუბაჩკომ, რომელმაც 7,5 ქულა დააგროვა 11 პარტიაში. 1 ქულით მეტი აქვს მსოფლიო ჩემპიონის გავრინდაშვილს.
შეიქმნებოდა ბოლო დღეს განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მოსფლოთი ექს-ჩემპიონის სიმონოვის („ბურევესტიკი“) შეხვედრამ არმიელ ლიბერზონთან. მსოფლიოს ექს-ჩემპიონის სპეციალურად ჩამოვიდა რიგაში, რათა გადამწყვეტ შეხვედრაში დახმარებოდა თანაგუნდელებს. ეს პარტია სასე იყო თავბრუსმდებელი, შორს გამოხსნული კომპინაციებით, ლამაზი შეწირვებითა და ბრწყინვალე ფინალით. სწილოვმა შესწირა ლაზიერი და დარჩენილი ძალებით დატყვევდა მეტოქის მეფე, რითაც ძვირფასი ქულა მოუტანა თავის გუნდს. სპეციალისტების ერთსულთან აზრით, ეს პარტია საუკე-

თესო ჩემპიონატში და დაამწვენებს მსოფლიო საჭადრაკო ლიტერატურას. გუნდური ჩემპიონატის საწვიმოდ დახურვისას ოქროს მედლები გადაეცათ პოლუგავესკისა და ტაბს — სსრ კავშირის მწვერვალი ჩემპიონატში გამარჯვებულს.
რედაქტორი მ. ზამუბარამი.
27 დეკემბერი.
საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაცია ხელმძღვანელებს მუშაკთა სახელში (მახარაძის ქ. № 8) ატარებს საჯარო ლექციას თემაზე: „მარტინი და მოკაღრბატი“.
ლექტორი — საერთაშორისო ანტიკრიტიკის სპორტის ოსტატი ლ. აბრამოვი (მოსკოვი).
დასაწყისი 17 ს.
ბილეთები იყიდება „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაციაში (ლენინის ქ. № 85). განაცხადები კოლექტიური დასწრებისთვის მიიღება ტელეფონით: 99-18-46, 99-76-74.